მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №41
2019 წლის 29 ნოემბერი

ქ. მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 თებერვლის №11 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 010260020.35.153.016405 08/02/2018), კერძოდ:

დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების“

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ“, „ფ“, „ქ“,“ღ“ და „ყ“ პუნქტები:

„უ) 50000 ლარამდე ღირებულების ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით შუალედურ და დამთავრებულ მშენებლობებზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის: წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნების, ფორმა №2-ის, შუალედური და საბოლოო დოკუმენტაციის ანალიზს, შესაბამისი დასკვნების/რეკომენდაციების მომზადებას და სამსახურის უფროსისთვის, აგრეთვე მერიის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისთვის წარდგენას;

ფ) 50000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურულ პროექტებზე აკრედიტებული A-ტიპის ინსპექტირების ორგანოების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებასთან შესაბამისობას;

ქ) შესრულებული სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შესაბამისობაზე კონტროლს;

ღ) მიმდინარე და შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობის აღრიცხვას;

ყ) კომპეტენციის შესაბამისად, შემოსული კორესპონდენციის/ წერილების განხილვას და პასუხების მომზადებას, საჭიროების შემთხვევაში, მერის ბრძანების პროექტების მომზადებას.“.

გ) 7^1 მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მცხეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გელა ბაქრაძე**